

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2025 წლის 1 აგვისტო

ქ. ახალქალაქი

„ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 დეკემბრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 25/12/2024, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.141.016431) შეტანილი შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. დამტკიცდეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 37 891 972 (ოცდაჩვიდმეტი მილიონ რვაას ოთხმოცდათერთმეტი ათას ცხრაას სამოცდათორმეტი) ლარის ოდენობით და ხარჯები 46 242 194 (ორმოცდაექვსი მილიონ ორას ორმოცდაორი ათას ას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარის ოდენობით. გარდამავალი ნაშთი შეადგენს 4 468 (ოთხი ათას ოთხას სამოცდარვა) ლარი.

2. „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 დეკემბრის №23 დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს წინამდებარე დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნაირი ირიციან

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი

დანართი 1

თავი I. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	31,725.8	32,739.8	20,924.4	11,815.4	37,742.0	29,236.2	8,505.8
გადასახადები	14,759.0	17,612.4	17,612.4	-	26,000.0	26,000.0	-
გრანტები	13,449.6	12,087.4	272.0	11,815.4	8,804.0	298.2	8,505.8



სხვა შემოსავლები	3,517.2	3,040.0	3,040.0	-	2,938.0	2,938.0	-
II. ხარჯები	13,829.2	17,885.9	17,399.7	486.2	19,240.7	19,016.6	224.1
შრომის ანაზღაურება	2,529.1	2,868.0	2,868.0	-	3,181.3	3,181.3	-
საქონელი და მომსახურება	3,581.3	4,500.3	4,132.0	368.3	4,843.3	4,619.2	224.1
პროცენტი	29.4	21.6	21.6	-	9.0	9.0	-
სუბსიდიები	5,548.0	6,922.2	6,922.2	-	8,178.2	8,178.2	-
გრანტი	107.0	175.0	175.0	-	50.0	50.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1,428.2	1,654.7	1,654.7	-	1,645.5	1,645.5	-
სხვა ხარჯები	606.2	1,744.1	1,626.2	117.9	1,333.4	1,333.4	-
III. საოპერაციო სალდო	17,896.6	14,853.9	3,524.7	11,329.2	18,501.3	10,219.6	8,281.7
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	12,294.6	25,827.7	14,246.6	11,581.1	26,771.0	18,157.3	8,613.7
ზრდა	12,476.2	25,957.7	14,376.6	11,581.1	26,921.0	18,307.3	8,613.7
კლება	181.6	130.0	130.0	-	150.0	150.0	-
V. მთლიანი სალდო	5,602.0	- 10,973.8	- 10,721.9	- 251.9	- 8,269.7	- 7,937.7	- 332.0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	5,521.5	- 11,054.3	- 10,802.4	- 251.9	- 8,350.2	- 8,018.2	- 332.0
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-	-	-
კლება	- 5,521.5	11,054.3	10,802.4	251.9	8,350.2	8,018.2	332.0
ვალუტა და დეპოზიტები	- 5,521.5	11,054.3	10,802.4	251.9	8,350.2	8,018.2	332.0
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 80.5	- 80.5	- 80.5	-	- 80.5	- 80.5	-
კლება	80.5	80.5	80.5	-	80.5	80.5	-
საშინაო	80.5	80.5	80.5	-	80.5	80.5	-
სესხები	80.5	80.5	80.5	-	80.5	80.5	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-	-
VIII. ბალანსი	-	- 0.0	- 0.0	-	- 0.0	- 0.0	-

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:



დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	31,907.4	32,869.8	21,054.4	11,815.4	37,892.0	29,386.2	8,505.8
შემოსავლები	31,725.8	32,739.8	20,924.4	11,815.4	37,742.0	29,236.2	8,505.8
არაფინანსური აქტივების კლება	181.6	130.0	130.0	-	150.0	150.0	-
გადასახდელები	26,385.9	43,924.1	31,856.8	12,067.3	46,242.2	37,404.4	8,837.8
ხარჯები	13,829.2	17,885.9	17,399.7	486.2	19,240.7	19,016.6	224.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	12,476.2	25,957.7	14,376.6	11,581.1	26,921.0	18,307.3	8,613.7
ვალდებულებების კლება	80.5	80.5	80.5	-	80.5	80.5	-
ნაშთის ცვლილება	5,521.5	- 11,054.3	-10,802.4	- 251.9	- 8,350.2	- 8,018.2	- 332.0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 37 742,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	31,725.8	32,739.8	20,924.4	11,815.4	37,742.0	29,236.2	8,505.8
გადასახადები	14,759.0	17,612.4	17,612.4	-	26,000.0	26,000.0	-
გრანტები	13,449.6	12,087.4	272.0	11,815.4	8,804.0	298.2	8,505.8
სხვა შემოსავლები	3,517.2	3,040.0	3,040.0	-	2,938.0	2,938.0	-

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 26 000,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023	2024 წლის გეგმა		2025 წლის გეგმა	
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის



დასახელება	წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	14,759.0	17,612.4	17,612.4	-	26,000.0	26,000.0	-
საშემოსავლო გადასახადი	-	-	-	-	-	-	-
დამატებითი ღირებულების გადასახადი	5,099.4	6,412.4	6,412.4	-	15,000.0	15,000.0	-
ქონების გადასახადი	9,659.6	11,200.0	11,200.0	-	11,000.0	11,000.0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	9,028.3	10,980.0	10,980.0	-	10,770.0	10,770.0	-
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	220.1	33.0	33.0	-	33.0	33.0	-
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	20.5	2.0	2.0	-	2.0	2.0	-
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	94.4	83.0	83.0	-	90.0	90.0	-
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	296.3	102.0	102.0	-	105.0	105.0	-

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 8 804,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
გრანტები	13,449.6	12,087.4	8,804.0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები			
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	13,449.6	12,087.4	8,804.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	5,000.0		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	415.0	272.0	298.2
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან		583.8	224.1
კაპიტალური ტრანსფერი	8,034.6	11,231.6	8,281.7
სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის :			-
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე			
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები			



აზიური ფაროსანის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ			
--	--	--	--

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 2 938,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	3,517.2	3,040.0	2,938.0
შემოსავლები საკუთრებიდან	1,238.7	1,700.0	1,420.0
პროცენტები	886.3	1,370.0	1,070.0
რენტა	352.4	330.0	350.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,689.4	890.0	968.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,664.6	868.0	944.0
სანებართვო მოსაკრებელი	33.1	20.0	40.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	3.6	8.0	
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,315.2	800.0	850.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	64.3	40.0	54.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	248.4		
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	24.8	22.0	24.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	589.1	450.0	550.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე			
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი			

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 19 240,7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		მათ შორის			მათ შორის		
		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის



	ფონდები				ფონდები		
ხარჯები	13,829.2	17,885.9	17,399.7	486.2	19,240.7	19,016.6	224.1
შრომის ანაზღაურება	2,529.1	2,868.0	2,868.0	-	3,181.3	3,181.3	-
საქონელი და მომსახურება	3,581.3	4,500.3	4,132.0	368.3	4,843.3	4,619.2	224.1
პროცენტები	29.4	21.6	21.6	-	9.0	9.0	-
სუბსიდიები	5,548.0	6,922.2	6,922.2	-	8,178.2	8,178.2	-
გრანტები	107.0	175.0	175.0	-	50.0	50.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1,428.2	1,654.7	1,654.7	-	1,645.5	1,645.5	-
სხვა ხარჯები	606.2	1,744.1	1,626.2	117.9	1,333.4	1,333.4	-

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს - 26 771,0 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 26 921,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 150,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	343.7	272.5	20.3
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	343.7	272.5	20.3
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	11,855.6	25,162.9	26,195.7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6,378.4	16,297.4	14,265.4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,321.2	1,212.2	1,026.1
02 03	გარე განათება	74.7	166.7	90.0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,878.8	5,064.9	7,436.2
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	-	-	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	381.3	1,146.6	1,330.3
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	821.2	1,275.1	2,047.7
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	-	5.2	-
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	-	5.2	-
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-	-	-
04 00	განათლება	231.1	436.6	705.0



04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5.0	39.7	-
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	175.3	396.9	705.0
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	50.8	-	-
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	45.8	75.8	-
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	4.7	48.4	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	41.1	27.4	-
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	-	4.7	-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	-	4.7	-
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	12,476.2	25,957.7	26,921.0

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	181.6	130.0	150.0
ძირითადი აქტივები	64.9	60.0	70.0
არაწარმოებული აქტივები	116.7	70.0	80.0
მიწა	116.7	70.0	80.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 405,9	6,014.9	6,361.0
7.1.1	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 285,5	5,912.8	6,352.0
7.1.1.1	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 285,5	5,694.7	6,089.6
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	218.1	262.4
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	120,4	102.1	9.0
7.2	თავდაცვა	143,9	-	-



7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	143,9	-	-
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	5 771,4	17,385.5	15,152.9
7.4.5	ტრანსპორტი	5 771,4	17,385.5	15,152.9
7.4.5.1	სავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5 771,4	17,385.5	15,152.9
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	-	-	-
7.5	გარემოს დაცვა	890,0	1,040.2	1,309.4
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	890,0	1,040.2	1,309.4
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	4 431,0	10,801.0	13,747.7
7.6.1	ბინათმშენებლობა	-	-	-
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	-	-	-
7.6.3	წყალმომარაგება	693,0	1,275.6	1,098.8
7.6.4	გარე განათება	335,4	583.6	630.1
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	3 402,6	8,941.8	12,018.8
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	271,7	330.7	377.7
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	271,7	330.7	377.7
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 660,1	2,330.8	2,482.8
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	799,7	1,181.1	1,258.5
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	814,9	1,079.9	1,151.4
7.8.3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	45,5	62.8	65.9
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	-	7.0	7.0
7.9	განათლება	2 832,0	4,367.2	5,060.1
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	2 538,7	4,031.5	4,836.0
7.9.2	ზოგადი განათლება	293,3	335.7	224.1
7.9.2.2	საბაზო ზოგადი განათლება	293,3	335.7	224.1
7.10	სოციალური დაცვა	1 380,1	1,669.1	1,670.1
7.10.1	ავადყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	56,9	57.0	50.0
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	-	-	-
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	560,9	620.0	605.5
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	36,4	100.0	80.0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	725,9	892.1	934.6



	სულ	21 786,1	43,939.4	46,161.7
--	-----	----------	----------	----------

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს - 8,269,7 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 18,501.43 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	17,896.6	14,853.9	18,501.3
მთლიანი სალდო	5,602.0	- 10,973.8	- 8,269.7

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 8 350,2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	5,521.5	- 11,054.3	- 8,350.2
ზრდა	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	- 5,521.5	11,054.3	8,350.2
ვალუტა და დეპოზიტი	- 5,521.5	11,054.3	8,350.2

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 80,5 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სასხეო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 120,7 ათას ლარს, ხოლო 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 40.2 ათასი ლარი.

თავი II. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 28,900.6 ათასი



ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	28,900.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	15,152.9
02 01 01	გზების რეაბილიტაცია	14,265.4
02 01 02	გზების მოვლა შენახვის ხარჯები	887.5
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,098.8
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	1,026.1
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	72.7
02 03	გარე განათება	630.1
02 03 01	გარე განათების რეაბილიტაცია	440.0
02 03 02	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	190.1
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	8,640.8
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	8,640.8
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	1,330.3
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	2,047.7

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების რეაბილიტაცია	2025 წლის (ათას ლარში)
	02 01 01		14,265.4
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა გულისხმობს როგორც ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, სასოფლო გზების რემონტსაც.</p> <ul style="list-style-type: none"> • სოფ.ერინჯა-მისანიკიანის სასოფლო გზის რეაბილიტაცია • სოფ. ეხტილა-მერენია გზის რეაბილიტაც • სოფ. ხანდოდან ახალქალაქი-ახალციხე ცენტრალური გზამდე არესებული გზის რეაბილიტაცია • სოფ. ბურნაშეთ-აზავრეთ გზის რეაბილიტაცია • სოფ. კოჩიო - სოფ. აგანის გზის რეაბილიტაცია • ახალქალაქი-ბაკურიანის შიდა სახელმწიფოებრივი გზიდან სოფ. მაჭადია-თოთხამ - კორხის გზის რეაბილიტაცია • სოფ. გოგაშენ - სოფ. აფნიის გზის რეაბილიტაცია • სოფ. ლადოლარში შიდა გზის რეაბილიტაცია • სოფ. კიროვკანის გზის რეაბილიტაცია • სოფ. ტურცხის გზის რეაბილიტაცია • სოფ.იხტილაში შიდა გზების რეაბილიტაცია • სოფ. ოლავერდის გზის რეაბილიტაცია • სოფ. გომან-ბალხო-ბულაშენ გზის რეაბილიტაცია 		



- ქ. ახალქალაქში ბ. ლომსაძის ქუჩის გზის რეაბილიტაცია
- ქ. ახალქალაქში წმინდა ნინოს ქუჩის გზის რეაბილიტაცია
- სოფ. ბარალეთის შიდა გზების რეაბილიტაცია

მოსალოდნელი შედეგი ქუჩების და სასოფლო გზების მდგომარეობა გაუმჯობესდება,

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების მოვლა შენახვის ხარჯები	2025 წლის (ათას ლარში)
	02 01 02		887.5
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა გულისხმობს როგორც ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-შენახვას, აგრეთვე, სასოფლო გზების რემონტსაც.</p> <ul style="list-style-type: none"> • სასოფლო გზების თოვლისგან გაწმენდა • გზების ორმოულების შეკეთება • სპეცტექნიკების დაქირავება • გზების მოხაზვა • ქ. ახალქალაქის ახალ სასაფლაომდე გზის მოხრეშვა ტრანსპორტით 		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ქუჩების მდგომარეობა გაუმჯობესდება, მოსახლეობა ისარგებლებს სუფთა და მოხერხებული გზებით, იმობრავებს კომფორტულად.</p> <p>ზამთრის პერიოდში მოსახლეობას ექნება ქალაქის ადმინისტრაციულ ცენტრამდე შეუფერხებელი მოძრაობა</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	2025 წლის (ათას ლარში)
	02 02 01		1,026.1
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციასა და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაციას.</p> <p>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ახალქალაქში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლუატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედეგა 1 ქვეპროგრამისაგან - სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაციის ქვეპროგრამა.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც</p>		



კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლუატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.

- ე. ახალქალაქი აღმშენებელი ქუჩაზე არსებული წყლის ცენტრალური არხის აღდგენა
- ე. ახალქალაქის ყოფილი პირველი სამხრედო ქალაქის კანალიზაციის აღდგენა
- სოფ. კოთელის სასმელი წყლის ხაზის რეაბილიტაცია
- სოფ. პატარა სამსარის სასმელი წყლის ხაზის რეაბილიტაცია
- ე. ახალქალაქის მეორე საბავშვო ბაღის ტერიტორიის საკანალიზაციო სისტემის მოწყობა
- სოფ. ტურცხის ხელოვნური ტბის მოწყობა
- სოფ. ბარალეთის სასმელი წყლის რეაბილიტაცია
- სოფ. ალასტანის სასმელი წყლის ხაზის მოწყობა
- ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სოფ. კარტიკამის სასმელი წყლის მილის 50 მეტრ დაზიანებული მონაკვეთე შეცვლა
- სოფ. სამსარის სარწყავი სისტემისთვის მილების შექმნა

მოსალოდნელი შედეგი
 - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში იარსებებს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი;
 - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე ექნება შეუფერხებელი წვდომა;
 - აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები იფუნქციონირებს გამართულად;
 - წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრება დროულად.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	2025 წლის (ათას ლარში)
	02 02 02		72.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქალაქ ახალქალაქის გარდა 15 ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდა და დაზიანების აღმოფხვრა. რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნილია წყლის ტუმბო და გენერატორი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შექმნა. <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 3 საშტატო ერთეული და 1 შტატგარეშე თანამშრომლის შრომის ანაზღაურების ხარჯები</p> <p>ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები.</p> <p>შინაარსის ტიპის მიხედვით სასმელი წყლის სისტემების ექსპლუატაციის ქვეპროგრამა მიეკუთვნება მომსახურების მიწოდების ტიპის ქვეპროგრამას, პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრელია დროულად.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების რეაბილიტაცია	2025 წლის (ათას ლარში)
	02 03 01		440.0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		



პროგრამის აღწერა	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ახალქალაქში და ადმინისტრაციულ ერთეულებში (დასახლებულ პუნქტში)</p> <p>მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას</p> <p>ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლუატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო</p> <p>2021 წლის ბიუჯტიდან ასიგნებები გამოყოფილია გარე განათების ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება.</p> <ul style="list-style-type: none"> • სოფ. ხოსპიოს ცენტრალური გზაზე გარე განათების მოწყობა • სოფ. არაგვის ცენტრალური გზაზე გარე განათების მოწყობა
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2025 წლის (ათას ლარში)
	02 03 02		190.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ახალქალაქში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; • ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; • დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. 	
მოსალოდნელი შედეგი		<p>გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%.</p>	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	2025 წლის (ათასი ლარი)
	02 06 01		8,640.8
პროგრამის განმახორციელებელი		ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური	
		<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება, როგორც მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების, მოსაცდელის მოწყობა/რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდება ქალაქის გაფორმება სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნა- მოსახლეობის</p>	



განწყობის ამაღლება.

კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამა შედგება ქვეპროგრამისაგან:

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა; კომფორტული და ჯანსაღი გარემო შექმნა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის.

- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესაწესრიგად დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა
- შუქნიშანების მოვლა
- ხის ნერგების შექმნა
- ქ. ახალქალაქის ახალი სასაფლაოს ტერიტორიის მოწყობა
- ქ. ახალქალაქში ა. მარგარიანის ქუჩა #47 მისამართზე არსებული ს.კ 63.18.41.125 # 3 შენობის დემონტაჟი
- სოფ. სირკვის რიტუალების სახლისთვის ინვენტარის შექმნა
- ქ. ახალქალაქი, მრავალსართულიანი შენობების სახურავების რეაბილიტაცია
- ქ. ახალქალაქში მე-14 ს/ქ საცხოვრებელი კორპუსის სახურავის
- ქ. ახალქალაქში კეცხოველის ქუჩაზე #1 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია
- მუნიციპალურ ბალანსზე რიცხულ შენობებში გაზის, წყლისა და ელექტროენერჯის ჩართვა
- ქ. ახალქალაქი მე-15 ს/ქ-ის პარკის აშენება
- ქ. ახალქალაქი მ. სარგისიანის ქუჩაზე არსებული პარკის აღდგენა
- ქ. ახალქალაქის ამირანის გორაზე არსებული ფანჩატურების რეაბილიტაცია
- ქ. ახალქალაქში მალხასიანის ქუჩაზე არსებული ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაცია
- სოფ. დილისკის ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაცია
- სოფ. ზაკეში მინი ფეხბურთის მოედნის მოწყობა
- სოფ. ბარალეთში ფეხბურთის მოედნის მოწყობა
- სოფ. ბავრაში საბავშვო მოედნის მოწყობა
- სოფ. მაჯადიაში სავარჯიშო მოედნის
- სოფ. ოლავერდში ფეხბურთის მოედნის მოწყობა
- ქ. ახალქალაქის წმინდა ნინოს ქუჩიდან ამოსასველი საფეხურის მოწყობა
- სოფ. ოკამში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია
- სოფ. იხტილაში მოსახლეობისათვის დასაჯდომის (გასართობი) შენობის აშენება
- სამოქალაქო ბიუჯეტი
- ქ. ახალქალაქი, თამარ მეფის ქუჩაზე ცენტრალური პარკის მიმდებარედ სპორტ დარბაზის მოწყობა
- ქ. ახალქალაქში შოთა რუსთაველის პარკის მოწყობა
- ავტობუსების შექმნა
- სოფ. კუმურდოს ცენტრალური სკვერის მოწყობა
- სოფ. ხანდოს სპორტული დარბაზის მშენებლობა
- სოფ. აბულის რიტუალების სახლის რეაბილიტაცია
- სოფ. ვაჩიანის სპორტული დარბაზის მშენებლობა
- სოფ. გოგაშენის მინი ფეხბურთის მოედნის მოწყობა
- სოფ. კარწახის რიტუალების სახლის რეაბილიტაცია
- სოფ. ალათუმანის კლუბის რეაბილიტაცია
- სოფ. ვარევანის რიტუალების სახლის რეაბილიტაცია
- საკლუბო გაერთიანების პირველ სართულის რეაბილიტაცია
- საბიბლიოთეკო გაერთიანების II-III სართულის რეაბილიტაცია
- ქ. ახალქალაქის თავისუფლების ქუჩაზე სამ სართულიანი ბინის რეაბილიტაცია
- ქ. ახალქალაქში პირველი სამხედრო ქალაქში არსებული #320 საცხოვრებელი კორპუსის ელექტროენერჯის გაყვანის
- სოფ. ბოზალში ფეხბურთის მოედნის მოწყობა
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების ურნების შესყიდვა
- ვიდეოთვალთვალის კმერების შექმნა
- სოფ. ჩუნჩხის რიტუალების სახლის შიდა რემონტი
- სოფ. კოთელიის საბავშვო მოედანის, სკვერის მოწყობა
- სოფ. ხორენის მინი სტადიონის მოწყობა
- სოფ. ჩამდურის მინი სტადიონის მოწყობა
- სოფ. ლომატურცხის მინი სტადიონის მოწყობა
- მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა და მიზანი

მოსალოდნელი შედეგი

აღდგენილი და ახლად მოწყობილი სკვერები, მოსაცდელები; მოსახლეობისთვის შექმნილი კომფორტული საცხოვრებელი გარემო; სადღესასწაულო დღეებში მორთული ქალაქი;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	2025 წლის (ათას ლარში)
	02 08		1,330.3
ქვეპროგრამის			



განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებითაც.</p> <ul style="list-style-type: none"> • ზედამხედველობა • საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს)

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2025 წლის ათასი ლარი
	02 09		2,047.7
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მცხეთის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით:</p> <p>ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 5 000 ლარი;</p> <p>ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 6 000 ლარი;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 8 000 ლარი;</p> <p>დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი.</p> <p>დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:</p> <p>ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;</p> <p>ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.</p> <p>თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში; იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა



დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 309,4 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,309.4
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,169.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	140.4

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანას	2025 წლის (ათასი ლარი)
	03 01		1,169.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავშიდი მანქანები.</p> <p>დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ახალქალაქის სერვისცენტრი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 6 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში:</p> <p>კულიკამი, ხულგუმო, ბავრა, კორხი, თოთხამი, მაჯადია, მურჯახეთი, კუმურდო, ხოსპიო, გომანი, ჩამდურა, ბარალეთი, ტურცხი, ლომატურცხი, ბალხო, დილისკა, ბულაშენი, ხანდო, აგანა, დადემი, ვარევანი, ქარცები, აზმანა, ოკამი, ორჯა, ბულაშენ, კოკია, ალასტან, კარტიკამი და ახალქალაქიდან კარწახამდე ფედერალური გზაზე არსებული 37 ცალი ნაგვის ურნა ქ. ახალქალაქიდან ბაქურიანის ფედერალური გზაზე არსებული 23 ნაგვის ურნა, ქ. ახალქალაქი-ახალციხის ფედერალური გზაზე არსებული 4 ცალი ნაგვის ურნა გატანა ნაგავსაყრელზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 106 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 6 ნაგავშიდი. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქის ახალქალაქის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები და მათ შორის ქ. ახალქალაქის მიმდინარე ტერიტორია და მოსახლეობისათვის გასართობი ადგილები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2025 წლის ათასი ლარი



პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა, გაკირვა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ ახალქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 8 სამტატო ერთეულისაგან.</p>
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეღვითი სამუშაოები.

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5,060.1 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა (ათასი ლარი)
04 00	განათლება	5,060.1
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	4,131.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	705.0
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	224.1

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	2025 წლის ათასი ლარი
	04 01		4,131.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება		
	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა		



	სავსაშროს შემოღება.
	შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 სრული საბავშვო ბაღი და 2 ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1200 -ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში ჯამში დასაქმებულია 270 ადამიანი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:
პროგრამის აღწერა და მიზანი	ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;
	საბავშვო ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;
	ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
	საბავშვო ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;
	ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;
	ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.
	ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა
მოსალოდნელი შედეგი	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და აღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობები, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლეს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1200-ზე მეტი ბავშვი.

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2025 წლის
	04 02		ათასი ლარი
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახალქალაქის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური	705.0
პროგრამის აღწერა და მიზანი		ყოველწლიურად ხორციელდება არსებული სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა <ul style="list-style-type: none"> სოფ. კორხის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 	
მოსალოდნელი შედეგი		განათლების ხარისხის ამაღლება და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება	

2025 წლის



პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების დაფინანსება	ათასი ლარი
	04 03		224,1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახალქალაქის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	
მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტის იმ სოფლებში მცხოვრებ სკოლის მოსწავლეებს რომლებშიც არ არის საჯარო სკოლები შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სასკოლო ტრანსპორტით და მიიღონ საშუალო განათლება.	

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2,482.8 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის ათასი ლარი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,482.8
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,258.5
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	164.5
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,094.0
05 01 02 01	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	396.0
05 01 02 02	საჭადრაკო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	75.0
05 01 02 03	სპორტული კომპლექსის ხელშეწყობა	390.0
05 01 02 04	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	233.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,224.3
05 02 01	კულტურის ღონისძიებები	148.1
05 02 02	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,003.3
05 02 02 01	საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა	151.7
05 02 02 02	საკლუბო გაერთიანების ხელშეწყობა	290.7



05 02 02 03	სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა	234.8
05 02 02 04	სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა	112.0
05 02 02 05	ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება	71.2
05 02 02 06	აშუგის სკოლის ხელშეწყობა	41.5
05 02 02 07	მომავლის სახლის ხელშეწყობა	101.4
05 02 03	საინფორმაციო პროგრამა	65.9
05 02 05	ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა	7.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	2025 წლის ათასი ლარი
	05 01 01		164.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, დიპლომებითა და მედლებით. ფეინთბოლის ჩემპიონატის ჩატარება. ა(ა)იპ-ებისთვის შესაძენი სპორტული ინვენტარის შეძენა. მუნიციპალიტეტის გუნდებისათვის სპორტული ფორმების შეძენა. სპორტული ინვენტარის შეძენას მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის გადასაცემად. ლარი მინი ფეხბურთის ჩემპიონატის ჩატარებისათვის.</p> <p>პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენების დაჯილდოება,</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, ევროპის სპორტისკვირეული, მასტერ ლიგა, სამოყვარულო ფეხბურთი, LET'S MOVE " სპორტის სხვადასხვა სახეობაში მუნიციპალიტეტის ჩემპიონატები, ქალთა სპორტული ღონისძიებები და სხვა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	2025 წლის ათასი ლარი
	05 01 02 01		396.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფეხბურთი • მინი ფეხბურთი • მაგიდის ჩოგბურთი • რაგბი • კარატე • ფრენბურთი • თავისუფალი სტილით ჭიდაობა 		



	<p>მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას (ფრენბურთი; ფეხბურთი; ჭიდაობა; რაგბი; კარატე, მაგიდის ჩოგბურთი და სხვა), ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას:</p>
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა; სპორტული სკოლით სარგებლობს 190 მოსწავლე.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საჭადრაკო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2025 წლის ათასი ლარი
	05 01 02 02		75.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფუნქციონირებს ჭადრაკის სექცია სოფელ დილისკაში სადაც ირიცხება 40 მოსწავლე.</p> <p>მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში საჭადრაკო სპორტის განვითარება. ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას:</p>		
მოსალოდნელი შედეგი	საჭადრაკო სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; საჭადრაკო სკოლით სარგებლობს 80 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული კომპლექსის ხელშეწყობა	2025 წლის ათასი ლარი
	05 01 02 03		390.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტული კომპლექსი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კრივი; • კიკბოქსინგი; • კარატე; • კარატე კიოკუშინკაი; • სათხილამურო სპორტი სოფელ არაგვაში; <p>ფუნქციონირებს სპორტული სექციები მუნიციპალიტეტის სოფლებში კერძოდ:</p> <p>სოფელ კარტიკაში კრივის სექცია - 55 მოსწავლე;</p> <p>კარატეს სექცია სოფელ მაჯადიაში - 28 მოსწავლე;</p> <p>ჭიდაობის სექცია სოფელ დილისკაში - 90 მოსწავლე;</p> <p>მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.</p>		



	ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას (კრივი, კინკბოქსი, კარატე, სათხილამურო სპორტი და სხვა), ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას;
მოსალოდნელი შედეგი	სპორტ-კომპლექსი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სხვადასხვა სპორტული წრეებით სარგებლობა; სპორტ-კომპლექსით სარგებლობს 420 მოსწავლე.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცურაო სპორტისა და ფიტნესის განვითარების ხელშეწყობა	2025 წლის
	05 01 02 04		ათასი ლარი
			233.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის დახურული საცურაო აუზი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცურვა • ფიტნესი <p>მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში საცურაო სპორტის განვითარება. ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	საცურაო აუზი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; საცურაო აუზით სარგებლობს 120 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	2025 წლის
	05 02 01		ათასი ლარი
			148.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებას. „ახალქალაქის დღე“. ტრადიციული მასიური დღესასწაული „ჯივანობა“. მედია-პროექტი „ეტალონი“. საახალწლო განათებები. ჩამოსული სამხატვრო კოლექტივების ღონისძიებებზე სოციალურად დაუცველთა და შშმ პირთათვის პროფესიონალურ კონცერტებში მონაწილეობისა და ღონისძიებაზე მიწვევისთვის. საუკეთესო მიღწევების მქონე სპორტსმენების, ხელოვანებისა და წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოება”</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;</p> <p>პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.</p>		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა	2025 წლის ათასი ლარი
	05 02 02 01		151.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალქალაქის საბიბლიოთეკო გაერთიანება		
